ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. დეკემბრის 27. № 33 ტფილისი

შინაარსი

მშენებლობა.

207. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

208. საქართველოს სსრ დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის წესის შესახებ.

209. მუნიციპალიზებული ფონდის საცხოვრებელი სახლების რემონტის შესახებ.

მშენებლობა

207. დადგენილება ს.კ.ს.

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიებს, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობის მოსპობის შესახებ“ 1934 წ. სექტემბრის 3-ის თარიღით და 2050 №-ით (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 45 №-ი, მუხ. 354; 1935 წ. 30 №-ი, მუხ. 239), „მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ 1934 წ. ოქტომბრის 23-ის თარიღით და 2437 №-ით (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 54 №-ი, მუხ. 414), „სამომხმარებლო, სარეწაო, მეთევზეობისა, ინტეგრალური და ინვალიდთა კოოპერაციის მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ 1935 წ. აპრილის 14-ის თარიღით (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 22 №-ი, მუხ. 175) და „სამომხმარებლო, სარეწაო, მეთევზეობის, ინ-

ტეგრალური და ინვალიდთა კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის პროექტებ-ბისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“ 1935 წ. ოქტომბრის 9-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებათა შესაბამისად და განსავითარებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე მშენებლობის სატიტულო სიებს (სახელობითს ნუსხებს), რომლებიც დამტკიცებულ არ უნდა იქნან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების მოხსენებით და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ფინინსთა სახალხო კომისარიატის დასკვნით.

2. საბინაო კოოპერაციის მშენებლობის სატიტულო სიებს, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, და სარეწაო, სამომხმარებლო, მეთევზეობის და ინვალიდთა კოოპერაციის მშენებლობის სატიტულო სიებს, მშენებლობის სამას ათას მანეთზე მეტი ღირებულებით, რომლებიც დამტკიცებულ არ უნდა იქნან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სათანადო კოოპერატიული სისტემის რესპუბლიკანური ორგანოს წარდგენით.

სარეწაო, სამომხმარებლო, მეთევზეობის და ინვალიდთა კოოპერაციის მშენებლობის სიტიტულო სიებს, როდესაც მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სამას ათას მანეთს არ აღემატება, ამტკიცებენ სათანადო კოოპერატიული სისტემების რესპუბლიკანური ორგანოები—მათვის ამ სისტემათა ცენტრების მიერ დამტკიცებულ კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების ფარგლებში.

3. სატიტულო სიებში შეტანილ უნდა იქნას მშენებლობის ყველა ობიექტი (როგორც ახალი, ისე გარდამავალი მშენებლობისა), როგორიც არის:

ა) ახალ წამოწყებათა, ნაგებობათა, შენობათა და გზათა მშენებლობა;
ბ) მათი რეკონსტრუქცია;
გ) მოქმედ წამოწყებაში ახალი ცეხებისა და აგრეგატების აგება;
დ) კაპიტალური რემონტი;
ე) კეთილმოწყობის სამუშაოები (გამწვანება, მოკირწყვლა და სხვ.);
ვ) გამოკვლევა და პროექტირება;
ზ) დაგეგმვა და აგეგმვა;
თ) სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოები.

4. სატიტულო სიებში აღნიშნულ უნდა იქნას:

ა) ობიექტის მშენებლობის ადგილი;
ბ) მისი საპროექტო ძალოვნება;
გ) მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების დრო;
დ) მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;
ე) კაპიტალდაბანდებათა რაოდენობა დასაგეგმავი წლისთვის;
ვ) მშენებლობის დაფინანსების წყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ყოველი შემდგომი წლის პროექტირების სატიტულო სიები უნდა შეიცავდეს ამა მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნულ ცნობებს, ხოლო ისეთი ზედმიწევნილობით, რაც საორიენტაციოდ ახასიათებს სათანადო ობიექტს.

შენიშვნა 2. სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოების სატიტულო სიებში აღნიშნულ უნდა იქნას თემატიკა, საჭირო სახსრის რაოდენობა და დაფინანსების წყარო.

5. 1-ლ მუხლში აღნიშნული მშენებლობისა და საბინაო კოოპერაციის მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები მტკიცდება შემდეგი წესით:

ა) იმ, უაღრესი მნიშვნელობის მქონე, ობიექტებისათვის, რომელთა სიასაც (სატიტულო სიების დამტკიცების დროს) ადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, მთელი მშენებლობის გენერალურ გეგმებს და ხარჯთაღრიცხვებს (ან აგრეთვე ტექნიკურ გეგმებს და ხარჯთაღრიცხვებს) ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო, საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების მოხსენებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნით;

ბ) მშენებლობის სხვა ობიექტებისათვის (გარდა ამა მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნულისა) პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარი ან ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელი;

გ) სასკოლო შენობათა პროექტებს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი;

დ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ქვემდებარე სამშენებლო ობიექტების პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს (სასკოლო შენობათა პროექტების გარდა) ამტკიცებენ ამ რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები;

ე) ტფილისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე არასამრეწველო სამშენებლო ობიექტებისათვის (კომუნალური, საბინაო, საადმინისტრაციო, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო, გარდა სასკოლო შენობებისა) პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს ტფილისის საქალაქო საბჭო;

ვ) ქუთაისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე არასამრეწველო სამშენებლო ობიექტებისათვის (კომუნალური, საბინაო, საადმინისტრაციო, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო, გარდა სასკოლო შენობებისა)—მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით არა უმეტეს 300.000 მანეთისა—პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს ქუთაისის საქალაქო საბჭო.

შენიშვნა. ტიპური პროექტების შეფარდების დროს დამტკიცება ეხება იმ საკითხს, თუ რამდენად შეესაბამება პროექტი ადგილობრივ პირობებს (ტიპური პროექტის სისწორით არჩევა) და როგორ არის მოთავსებული გენერალურ გეგმაზე.

6. სარეწაო, სამომხმარებლო და მეთევზეობის კოოპერაციის მშენებლობის იმ ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, რაც დამტკიცებულ არ უნდა იქნას ამ კოოპერატიული სისტემების საერთო-საკავშირო ან ფედერატიული ცენტრების ხელმძღვანელთა მიერ, აგრეთვე ინვალიდთა კოოპერაციის მშენებლობის ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებენ სათანადო კოოპერატიული სისტემის რესპუბლიკანური ცენტრები.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში აღნიშნული კოოპერატიული სისტემების მშენებლობის ტექნიკურ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს, როდესაც მშენებლობის ღირებულება სამას ათას მანეთს არ აღემატება, ამტკიცებენ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში არსებული ამ კოოპერატიული სისტემების ცენტრების ხელმძღვანელნი.

7. მშენებლობის ქვემდებარეობის მიუხედავად, ქალაქების ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის პროექტები დამტკიცებამდე შეთანხმებულ უნდა იქნას სათანადო საქალაქო საბჭოებთან გენერალური გეგმის შესაბამისობისა და საარქიტექტორო-სამხატვრო გაფორმების მხრით.

ამის გარდა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მშენებლობის პროექტის დამტკიცებამდე მისი სათანადო ნაწილები, მაგალითად, სასანიტარო, სახანძრო და სხვ. მისთ. მხრით, აგრეთვე სპეციალური სახის მშენებლობის პროექტები, როგორიც არის: საავტომობილო ტრანსპორტის ნაგებობანი და სხვა მისთ., შეთანხმებულ უნდა იქნას სათანადო უწყების ორგანოებთან.

8. იმ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულების სისტემაში განსახორციელებელი მშენებლობის ობიექტებისათვის, რომელთაც არა ჰყავთ თავიანთ აპარატში ტექნიკური პროექტების და ხარჯთაღრიცხვების განმხილველი ორგანოები, ამ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებენ სათანადო სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დიწესებულებები (სამრეწველო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისათვის—ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი; სასოფლო მეურნეობის და წყალთა მშენებლობისათვის—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი; სავაჭრო მშენებლობისათვის—შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი; კომუნალური, საბინაო და საადმინისტრაციო მშენებლობისათვის, აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრების, საფიზკულტურო ნაგებობათა და სხვა მისთ. მშენებლობისათვის—კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი; სკოლების, თეატრების, კინოების, კლუბების, მუზეუმებისა და სხვა მისთ. მშენებლობისათვის—განათლების სახალხო კომისარიატი; საავადმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, დისპანსერებისა და სხვა მისთ. მშენებლობისათვის—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი; გზების, ხიდებისა და სხვა მისთ. მშენებლობისათვის—გზატკეცილების, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო და სხვ.).

9. საგამოკვლევო სამუშაოებისა და საპროექტო დავალების შედგენის სამუშაოების დაფინანსება შეიძლება მხოლოდ დადგენილი წესით დამტკიცებულ სატიტულო სიებში საპროექტირებლად შეტანილი ობიექტებისათვის, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სამომზადებლო სამუშაოებისა (მუხ. 10)—უკეთუ არსებობს ამ სამუშაოებისა სატიტულო სიები და ხარჯთაღრიცხვები, დამტკიცებული მე-5 მუხლში აღნიშნული წესით.

მშენებლობის დაფინანსება შეიძლება მხოლოდ სათანადო წესით დამტკიცებულ სატიტულო სიებში შეტანილი მშენებლობის ობიექტებისათვის, უკეთუ ამასთანავე არსებობს მე-5 და 6 მუხლით დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტები და ხარჯთაღრიცხვები.

საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ დადვან ხელშეკრულება ისეთი ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობის წარმოებაზე, რაც არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ პირობებს.

შენიშვნა. მშენებლობისა და აგრეთვე სამომზადებლო სამუშაოებისა და პროექტირების დაფინანსება უპროექტოდ, უხარჯთაღრიცხვოდ და უგეგმოდ შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით, რაც გაიცემა თითოულ ცალკე შემთხვევაში „გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების მიერ კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების დროს განსახორციელებელი კონტროლის წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 27-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის შენიშვნით გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 28 № ი, მუხ. 169).

10. მე-9 მუხლის წესისამებრ დასაფინანსებელ სამომზადებლო სამუშაოებს ეკუთვნის:

ა) ტექნიკური პროექტების და მათი ხარჯთაღრიცხვების შედგენა;

ბ) სამომზადებლო სამუშაოები მშენებლობის ტერიტორიის ათვისებისათვის (ფართობის ხეების ნარგავებისაგან განთავისუფლება, შენობათა აღება, მცხოვრებთა გამოსახლების ხარჯი, სხვა ორგანიზაციების ზარალის ანაზღაურება, ნაკვეთის საერთო დაგეგმვა და შემოღობვა);

გ) ნაკვეთამდე მისავალი გზებისა და ტერიტორიაზე გზების გაყვანა;

დ) დროებითი შენობებისა და ნაგებობების (საწყობები, დროებითი საცხოვრებლები, სასადილოები, კონტორები) დადგმა;

ე) დამხმარე წამოწყებათა მოწყობა (კარიერების განმზადება);

ვ) სამშენებლო მექანიზმების შეძენა სამომზადებლო სამუშაოებისათვის;

ზ) საშენი მასალის დამზადება მშენებლობის ერთი-ორი თვის საჭიროების ფარგლებში.

11. კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების გარეშე აკრძალულია.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ეკისრება სისტემატური მეთვალყურეობა ამ წესის აღსრულებისათვის.

12. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის მიიცემიან პასუხისგებაში სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დადგენილება ესე არა ვრცელდება იმ მშენებლობაზე, რომელიც ხორციელდება „კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის გარეშე წარმოებული მშენებლობის ხარჯების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილების წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 49, მუხ. 417).

14. ამა დადგენილებით განსაზღვრული წესი პროექტების დამტკიცებისა არა ვრცელდება ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და რეკონსტრუქციის პროექტების დამტკიცებაზე.

15. ამა დადგენილების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. დეკემბრის 16-ის დადგენილება „რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 1-ლი, №-რი მუხ. 3).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. ოქტომბრის 25. № 1459.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 285 №-ში 1935 წ. დეკემბრის 10.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

208. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის წესის შესახებ.

„სსრ კავშირის ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმვის და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის და დამტკიცების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 27-ის დადგენილებისა (სსრკ. კან. კრ. 1933 წ. 41 №-ი, მუხ. 243) და ა/კსფსრ-ის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1934 წ. თებერვლის 27-ის თარიღით გამოცემული სათანადო დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1934 წ. მე-5-6 №-ი, მუხ, 50) განსავითარებლად და დასამატებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ დასახლებული ადგილების დაგეგმვის და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტებს, როგორც საერთო წესი, ადგენენ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მგეგმავი ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული წესის გამონაკლისად:

ა) სამრეწველო წამოწყებათა გარშემო წარმოქმნილი დაბების დაგეგმვის პროექტებს ადგენენ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საპროექტო ორგანიზაციები: ქალაქებში—სათანადო საქალაქო საბჭოებთან შეთანხმებით, ხოლო სხვა ადგილებში—კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით;

ბ) რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის მიწებზე მდებარე დასახლებული ადგილების დაგეგმვის პროექტების შედგენა, სათანადო სახალხო კომისარიატის დადგენილებით, შეიძლება როგორც სპეციალური ორგანიზაციების მიერ, ისე საერთო წესით;

გ) ცალკეული სამრეწველო მოედნების დაგეგმვის პროექტებს ადგენენ მრეწველობის და ტრანსპორტის ორგანოები ქალაქის საერთო დაგეგმვის პროექტთან დაკავშირებით;

დ) საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობების საწარმოო ცენტრების დაგეგმვის პროექტები შედგენილ უნდა იქნას სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესისამებრ;

ე) საკურორტო ადგილების დაგეგმვის პროექტებს ადგენენ მთავარი საკურორტო სამმართველოს საპროექტო ორგანიზაციები: ქალაქებში—სათანადო საქალაქო საბჭოებთან შეთანხმებით, ხოლო სხვა ადგილებში—კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

3. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვის პროექტების შედგენა გათვალისწინებულ უნდა იქნას დაგეგმვის სამუშაოთა გეგმებში, რასაც ადგენს საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

4. ხელმძღვანელობას, კონტროლს და მეთვალყურეობას საგეგმავ სამუშაოთა წარმოებისა და დაგეგმვის დამტკიცებული პროექტების ზედმიწევნით შესრულებისათვის ქალაქების მშენებლობისა ღა რეკონსტრუქციის დროს ახორციელებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, იმისდამიუხედავად, თუ რომელი უწყება, დაწესებულება და ორგანიზაცია აწარმოებს აღნიშნულ სამუშაოებს და მშენებლობას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1935 წ. ნოემბრის 14. № 1565.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68

209. დადგენილება ს.კ.ს.

მუნიციპალიზებული ფონდის საცხოვრებელი სახლების რემონტის შესახებ.

„მუნიციპალიზებული ფონდის საცხოვრებელი სახლების რემონტის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ივნისის 4-ის დადგენილების განსავითარებლად და სახლების კაპიტალური რემონტის საქმეში გადამწყვეტი გარდატეხის მისაღწევად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნას შემდეგი წესი რემონტის წარმოებისა მუნიციპალიზებულ სახლებში:

ა) მუნიციპალიზებული სახლების კაპიტალური რემონტი უნდა სწარმოებდეს ისეთი მუცულობით და ისეთი ხარისხით, რომ უზრუნველყოს საწარმოო ხარჯების ამორტიზაცია საამისოდ დადგენილი ვადის განმავლობაში;

ბ) კაპიტალური რემონტი უნდა დამთავრდეს, როგორც საერთო წესი, ერთი წლის განმავლობაში;

გ) სახსრისა და მასალის დაქსაქსვის თავიდან ასაცილებლად, კაპიტალური რემონტი ყოველწლიურად შესრულებულ უნდა იქნას მუშათა მოსახლეობით დაჭერილი უფრო დიდი და ძვირფასი სახლების ჯგუფში, თანაც დანარჩენ სახლებში უნდა სწარმოებდეს გადაუდებელი მიმდინარე რემონტი.

2. წინადადება მიეცეს საბინაო კავშირებს და სახლთა ტრესტებს, ხოლო იქ, სადაც ისინი არ არიან, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—აწარმოონ მუნიციპალიზებულ სახლთმფლობელობათა ზედმიწევნითი აღრიცხვა, შეადგინონ დეფექტების აქტები და გამოარკვიონ კაპიტალური რემონტის საჭიროება თითოეულ სახლმფლობელობაში; ამასთანავე, დაამთავრონ ხოლმე ეს მუშაობა წინა-წლის აგვისტოს 1-მდე.

3. სარემონტო სამუშაოების წარმოების გეგმიანობის გასაძლიერებლად, დაევალოს კომუნალური მეურნეობის ორგანოებს, ხოლო იქ, სადაც ისინი არ არიან,—საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, და აგრეთვე საბინაო კოოპერაციას—დაიცვან რემონტისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულების შემდეგი ვადები:

ა) არა უგვიანეს თითოეული წლის სექტემბრის 1-ისა საქალაქო საბჭო დაამტკიცებს სარემონტო ხარჯების საკონტროლო ციფრებს, შესაკეთებელი სახლების სატიტულო სიებს და სარემონტო კონტორების მუშაობის პროგრამას;

ბ) დეკემბრის 1-ისათვის საბინაო კავშირები და კომუნალური მეურნეობანი უზრუნველჰყოფენ მუშაობის დამთავრებას ტექნიკური აღწერებისა და ხარჯთაღრიცხვების შესადგენად სატიტულო სიებში შეტანილი სახლების სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის;

გ) იანვრის 1-ისათვის საბინაო კავშირები (კოოპერატიული კონტორების ხაზით) და საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კომუნალური კონტორების ხაზით) დაამტკიცებენ სარემონტო კონტორების სა-
წარმოო გეგმებს;

დ) მარტის 15-ისათვის დამთავრებულ უნდა იქნას ხელშეკრულებების დადე-
ბა ბანკებთან და სარემონტო კონტორებთან.

4. ვინაიდან ზაფხულის პერიოდში მუშა-ძალის მწვავე დეფიციტია, რაც
უმთავრესად სარემონტო კამპანიის სეზონური ხასიათის შედეგია, წინადადება
მიეცეს საქალაქო საბჭოებს და საქართველოს სსრ საბინაო კავშირს—სარემონ-
ტო სამუშაოების ორგანიზაციის დროს სახელმძღვანელოდ მიიღონ შემდეგი:

ა) სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები უნდა განაწილდეს გეგმაში ისეთი
ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი დატვირთვა წლის განმავ-
ლობაში;

ბ) ამისდამიხედვით, განისაზღვრება სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშათა
კონტიგენტი, რომელიც უზრუნველჰყოფს წლიური პროგრამის შესრულებას;

გ) სარემონტო კამპანიის გეგმა აგებულ უნდა იქნას ისეთი ანგარიშით,
რომ ზაფხულის პერიოდში შესრულდეს ძირითადი გარესამუშაოები (ფასადი,
სახურავი და სხვ.).

5. კაპიტალური რემონტის უზრუნველსაყოფად, იმ სახლთმფლობელობათა
სახსარი, რომელნიც უწყებული წლის რემონტის გეგმაში შეტანილ არ არიან,
კონცენტრირებულ უნდა იქნას განსაკუთრებულ ანგარიშებზე კომუნალურ ბანკ-
ში, ხოლო თუ ეს ანგარიშები არ არის,—კომუნალური ბანკის სუბანგაოიშებზე
და სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებებში.

6. იმ სახლთმფლობელობათა სახსარი, რომელნიც რემონტს არ აკეთებენ,
მიიქცევა, კომუნალური მეურნეობის მიერ საბინაო კავშირებთან ერთად შედგე-
ნილი გეგმების მიხედვით, საშუალო-ვადიანი სესხის სახით, შემდეგი დანიშნუ-
ლებისათვის: 90%—უწყებული წლის სატიტულო სიებში შეტანილი სახლების
რემონტისათვის, 5%—ტრანსპორტის ორგანიზაციისათვის და 5%—სარემონ-
ტო კონტორების საბრუნავი სახსრის გაძლიერებისათვის.

შენიშვნა 1. საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობებში შეგროვილი
თანხა მოხმარდება საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის სახ-
ლების რემონტს, ხოლო სახლთა ტრესტში შეგროვილი თანხა მიიქცევა
ტრესტის სახლების ხაზით.

შენიშვნა 2. დაეკისროს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს—გა-
რანტიებულყოს საშუალო-ვადიანი სესხის თავის დროზე დაბრუნება სახლთ-
მფლობელობათათვის; ამასთანავე, სესხის ვადები შეუთანხმოს ამ სახლების
კაპიტალური რემონტის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სა-
ხალხო კომისარიატს—სახლების კაპიტალური რემონტის საკონტროლო ციფრე-
ბი შეიტანოს ხოლმე სახალხო-სამეურნეო გეგმაში, რემონტისათვის ფონდირე-
ბული მასალის გამოყოფით, რის მიხედვითაც დაევალოს საქალაქო საბჭოებს და
საბინაო კოოპერაციას გამოარკვიონ განაცხადები სამშენებლო მასალაზე. ამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანავე, გაითვალისწინოს აგრეთვე საშენი მასალის საჭიროება მიმდინარე რემონტისათვის.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ნოემბრის 1-ისა გახსნას კრედიტი საბინაო კავშირებისა და კომუნალური მეურნეობისათვის საშენი მასალის თავის დროზე შესაძენად სარემონტო სამუშაოების საჭიროებისათვის.

9. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ორჯერ მაინც წელიწადში (აპრილი-დეკემბერი) გამოიკვლიონ საბინაო-საიჯარო კოოპერაციული ამხანაგობებისა და სახლტრესტების სახლები და წარადგინონ ხოლმე გამოკვლევის მასალა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატში; ამასთანავე, ფართოდ ჩააბან აღნიშნულ მუშაობაში საბჭოების საბინაო სექციები, დეპუტატთა ჯგუფები და პროფესიონალური კავშირები;

ბ) პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ ხოლმე საქართველოს სსრ საბინაო კავშირის, საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისა და ცალკეულ სახლთმმართველობათა მოხსენებანი სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;

გ) გამოყონ საბინაო სექციების შედგენილობაში სექციონერთა განსაკუთრებული ჯგუფები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ რემონტის მიმდინარეობას და მისთვის მზადებას, აგრეთვე მოაწყონ ქუჩის კომიტეტები;

დ) მოაწყონ სახტრესტების სახლთმმართველობებში და იმ სახლებში, რაც საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების უშუალო ექსპლოატაციაშია, საზოგადოებრივი კონტროლის სამეულები ამ სახლებში მცხოვრებ პირთაგან;

ე) აკრძალონ საბინაო კოოპერაციის სარემონტო კონტორათაგან საშენი მასალის ჩამორთმევა; ამასთანავე წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საბინაო კავშირს—ყველა შემთხვევა ასეთი ჩამორთმევისა აცნობოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს;

ვ) აძლიონ ხოლმე თავის დროზე საბინაო კავშირებს უწყებული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები კაპიტალური რემონტის ფონდისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ნოემბრის 13. № 1559.
ტფილისი

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 65. 3/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 7/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XII; ტირაჟი 1.800

თავლ. რწმ. № 87024 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა შეკვ. № 1530